

უბიკო ამგზავნი ბიურო ვინც

~~87~~ 257

287 1

257

287 1

257

Handwritten text, possibly a signature or address, mostly illegible.

დასაქმებულია 14
16.01.2025

წერილი რედაქციას

გაზეთი „კომუნისტის“ ამა წლის 20 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა ა. თოფურიას წერილი „რატომ „რამეთუ“, რომელშიც ავტორი ილაშქრებს თანამედროვე ქართულში სიტყვა „რამეთუს“ ხმარების წინააღმდეგ. ამასთან ერთად, ამ სიტყვის უსწოროდ ხმარების „მამამთავრად“ ავტორს გამოჰყავს სიმონ ჩიქოვანი, რომელმაც ეს სიტყვა გამოიყენა პოემაში „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ შემდეგ კონტექსტში: „ისევ ეძებენ მორწმუნე მოძმეს, რამეთუ მამულს უშველონ მერმის...“. ა. თოფურიას მთელი თეორიულ-პუბლიცისტური მსჯელობა დაკონკრეტებულია სიმონ ჩიქოვანის სახელითა და ზემორეცტირებული სტროფის, ჩემი აზრით, სავსებით მცდარი ანალიზით. კერძოდ, იგი სთავაზობს მკითხველს, სიტყვა „რამეთუს“ მაგივრად აღნიშნულ სტრიქონში ჩასვას „რადგანაც“, რის შემდეგ ცხადი გახდება ამ სტროფის „გაუმართაობა“. მაგრამ რატომ მაინცდამაინც „რადგანაც“, როდესაც სიტყვა „რამეთუს“, როგორც ეს კარგად ჩანს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან, საბასა და ჩუბინაშვილების ლექსიკონებიდან, აქვს სხვა სინონიმებიც — „იმიტომ, რომ“, „იმის გამო, რომ“, „ის, რომ“, რომელთა ჩასმა პოეტის სტრიქონში არავითარ აზრობრივ გაუგებრობას არ იწვევს.

რაც შეეხება კორექტივს, რომელიც ავტორმა შეიტანა პოეტურ ტექსტში, მე, როგორც პოეტის საავტორო უფლების მემკვიდრეს, სრულიად გაუმართლებლად და მიუღებლად მიმაჩნია იგი.

ნ. ჩიქოვანი.

კომუნისტი 3

1986, 11/XI - № 257